ოქმი:**ო05. 3724355001**
თარიღი:**20/12/2024**

**ოქმი N 7**
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის**

2024 წელი, 19 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი

14.00 -14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ე.გორდელაძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. მახარაძე, გ.კილაძე, ხ. ცერცვაძე, გ. მდინარაძე, ნ.ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   **მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

   **თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

   **მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
   **მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

საკრებულოს წევრმა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ე.გორდელაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ.

ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 43 400 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 5 380,0 ლარით, ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე არ დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მე-2-ე საკითხი, აღნიშნა, რომ პროექტი შემოტანილია მთავრობის შესაბამისი დადგენილებიდან და ეხება მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების 10% ზრდას. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას. სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს გააცნო მე-3 საკითხი, დადგენილების პროექტი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების 10% ზრდას, აქაც კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა მოიწონეს გეგმა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

## გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და N 1 საკითხი, მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას.

2. N 2,3 საკითხები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზრვრის მიზნით.

3. N 4 საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი